საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება №1-1/5

2024 წლის 22 იანვარი

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწების (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.29.03.758; 64.29.03.759) საკურორტო-სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე და 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისათვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის № 266 დადგენილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწების (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.29.03.758; 64.29.03.759) საკურორტო-სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა“ (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი — **იოანე მენაბდე**